კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის კვალიფიკაციის პრობლემები და მტკიცებულებითი სტანდარტი

დავით ლატარია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

დავით ლატარია

06.05.2023

აბსტრაქტი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლი წარმოადგენს პრობლემურ ნორმას. სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და აღნიშნულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, ვერ აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, ამასთან კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის კვალიფიკაციის პრობლემები, თვალშისაცემია, რადგან რიგ საქმეებში აღწერილ სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას, კავშირი არ აქვს სსკ-ის 284-ე მუხლის შემადგენლობასთან. ამ კუთხით, საინტერესოა ის, თუ როგორ უდგებიან მოცემულ საკითხს უცხო სახელმწიფოთა იურიზდიქციები, რას ითვალისწინებს მათ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ნორმები, რომლებიც უშუალოდ ეხება კომპიუტერულ სისტემასთან არაავტორიზებული წვდომის დამყარებას.

განხილულ იქნება სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევასთან დაკავშირებით, მოცემული ნორმის ირგვლივ, რა პრობლემებს ხედავენ და რა გზებს გვთავაზობენ, ხსენებული პრობლემების გადაჭრისთვის. ამასთან, შეფასდება რამდენად სწორია დღეს არსებული მიდგომები, იმასთან დაკავშირებით, თუ რას წარმოადგენს ზოგადად კიბერდანაშაული და რა არის კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა. დეტალურად გაირჩევა სსკ-ის 284-ე მუხლის შემადგენელი თითოეული სიტყვა თუ ტერმინი: რას ნიშნავს კომპიუტერული სისტემა, როგორ განმარტავს კანონმდებელი სიტყვას უნებართვო, რას გულისხმობს შეღწევა და რა დანაშაულებრივ ქმედებას გამოხატავს ის.

იმისათვის, რომ არსებული პრობლემები და გამოწვევები ნათლად იქნეს დანახული, გააანალიზებულ იქნება, საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილება. უპირველეს ყოვლისა, შეფასდება, სწორად მიენიჭა თუ არა ქმედებას სსკ-ის 284-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაცია და რამდენად შეესაბამება ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საკვანძო სიტყვები: მტკიცებულებითი სტანდარტი, 284-ე მუხლი, უნებერათვო შეღწევა, კომპიუტერული სისტემა, კიბერდანაშაული, სასამართლო პრაქტიკა, კონვენცია, ბრალდების მხარე, ციფრული მტკიცებულებები.

Abstract

The norm outlined in Article 284 of the Criminal Code of Georgia is problematic in nature. In court practice, it is frequent to come across the situations, when the evidence presented by prosecution and the set of evidences cannot meet the standard beyond a reasonable doubt provided by the Code of Criminal Procedure, and the problems of qualification of unauthorized access to the computer system are obvious, because some criminal actions described in a number of cases has no connection with the content of Article 284 of the Criminal Code. With regard to this, it is interesting to see how the jurisdictions of foreign countries approach this issue, what norms are provided in their Criminal Code, which are related to the establishment of unauthorized access to the computer system.

The perspective of several authors concerning unauthorized access to the computer system will be the subject of discussion, what problems do they see concerning the mentioned norm and what solutions do they suggest to address these issues. Additionally, an evaluation will be carried out to determine accuracy of existing approaches, what does cybercrime in general constitute and what does unauthorized access to the computer system mean. Each word or term of Article 284 of the Criminal Code will be explored in detail: meaning/definition of computer system, how does the legislator interpret the word unauthorized, what does the access mean and what criminal action does it express.

In order to gain clear perspective on the existing problems and challenges, an analysis will be conducted on several decisions made by The Court of Georgia. First of all, it will be assessed whether the action was correctly classified as a criminal offense under Article 284 of the Criminal Code and to what extent the evidence presented by the prosecution complies with the requirements specified by the Criminal Procedure Code of Georgia.

Key Words: Evidentiary Standard, Article 284, Unauthorized access, Computer System, Cybercrime, Court Practice, Convention, Prosecution, Digital Evidence.